საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. ხელნაწერი ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 66 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 66

«უდავოა, რომ ყოველივე სახელმწიფო ბურჟუაზიულ საზოგადოების ფარგლებში, ასე თუ ისე, იძულებული იქნება ემსახუროს ბურჟუაზიის ინტერესებს. ამის გვერდის ავლა არას გზით არ შეუძლია არც საქართველოს სახელმწიფოს. ამის თავიდან აცილების ცდა— წმინდა უტოპიაა და ამისთვის ჩვენ არც ვიტკივებთ თავს».

**ნოე ჟორდანია.** (მისი სიტყვების კრებული, რუსული გამოცემა, გვ. 111).

## ჯალადობის და შურისძიების ლეგალიზაცია.

არ გასულა ერთი თვეც კი რუსეთ-საქართველოს შუა საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, რის შედეგი იყო საქართვ. კომუნისტების ციხეებიდან განთავისუფლება და კომუნისტური პარტიის სიტყვიერი ლეგალიზაცია, რომ მენშევიკების პარტიულ სიუზდმა შეთქმულება მოაწყო ჩვენი პარტიის გასასრესათ, ლეგალურ ნიადაგიდან მის გასაძევებლათ. ივნისიდან მოკიდებული ეს შეთქმულება ხორციელდება საქართველოს ყოველ კუთხეში. კომუნისტებით სწრაფ ავსებული ციხეები თუ ცოტა დაცალიერდა ახლა, იმიტომ, რომ ციხის კარები ეღებოდათ ჩვენს ამხანაგებს მხოლოდ ეტაპით გასამგზავრებლად საზღვარ გარეთ. ვის არ ახსოვს ის უმანკო ფიცი და გოდება მმართველ პარტიის მინისტრების და მათი ამალის „ერთობა-ბორბიდან“ და პროფესიონალურ კავშირებიდან: ჩვენ აუარებელი საბუთი გვაქვს იმის დასამტკიცებელი, რომ კომუნისტები იძენენ იარაღს, მუშაობენ ფარულად, აგიტაციას ეწევიან ჯარში და აჯანყებას აწყობენო. 200 დატყვევებულ კომუნისტის შიმშილობამ გამოაამჟღავნა, რომ აუარებელი მხოლოდ ფარისევლობა და გაიძვერაობა მოეპოებათ ჩვენს პროკურორებს: მათ ვერ წაუყენეს ვერც ერთ კომუნისტს რაიმე გამამტყუნებელი საბუთი ან საბუთის მზგავსი მაინც, გარდა იმისა, რომ კომუნისტები არიან და მაშასადამე მენშევიკური საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილების მტრები. მაგრამ კომუნისტების 4 დღე ნახევრის შიმშილობამ მაინც აიძულა საქართველოს მთავრობა ძალდატანებითი რეპრესიების ფორმა შეეცვალა და შეემსუბუქებია. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ მაშინ პატიოსანი სიტყვა მისცა ორხელ ერთს ჩვენ ამხანაგს ოფიციალურ მოლაპარაკების დროს, რომ კომუნისტების ბედი უკვე გადაწყვეტილი აქვს მთავრობას და თუ ისინი შიმშილობას შეწყვეტენ—ორიოდე დღეში დიდ უმეტესობას გავათავისუფლებთ, ან გადავასახლებთ, მხოლოდ რამდენიმე კომუნისტი დარჩება ციხეში, რომლებსაც ჩავაბარებთ საპრალმდებლო ოქმსო. მაშინაც ვიცოდით ნამდვილი ფასი ასეთი დაპირებების, არ შევმცდარვართ მათი ღირებულების წონაში, მაგრამ უნდა ალვიაროთ აშკარათ, რომ ერთ რამეში შევცდით: ჩვენ სარწმუნოთ მივიღეთ მენშევიკების დაპირება რამდენიმე ჩვენი ამხანაგის სამართალში მიცემის შესახებ. შიმშილობამ სავსებით გამოარკვია, რომ მათ არა აქვთ არავითარი საბუთი ჩვენი პარტიის არა-ლეგალური მუშაობის, არა აქვთ გასამართლებელი საბუთი თავის აღვირ-წაგდებულ რეპრესიების ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, არა აქვთ გასამართლებელი საბუთი რუსეთთან ხელშეკრულების გათელვის. მაგრამ ჩვენ მაინც მოველოდით, რომ რაკი ემუქრებიან გასამართლებით რამდენიმე ამხანაგს, ალბათ მოაკვარახჭინებენ რასმეს, ადგილობრივ მილიციას და ჯაშუშებს რამეს გამოაწოვებიებენ თითებიდან და პროცესიის მზგავსს რაიმე კომედიას გაითამაშებენ. და ამიტომაც ჩვენმა ცენტრ. კომიტეტმა ამხანაგებს მოახსნევია შიმშილობა. ორიოდე დღის მაგიერ ორიოდე თვე გავიდა მას შემდეგ და ციხეები მაინც არაა დაცლილი, დატყვევებულებს ახალი ტყვეები ემატებოდენ, რკინის ხლართიანი სატუსაღო ვაგონები ბაქოსკენ მიეზიდებიან ჩვენს მრავალ ამხანაგს. მაგრამ წვრილ-ბურჟუაზიის სიბრაზემ და შურისძიების ბინძური გრძნობა ვერ დასტკბა სავსებით ასეთი სურათით, მან მოინდომა პოლიტიკური სადიზმის სიტკბოების გაცნობა: სამართალში მიცემის და საბრალმდებელო ოქმის ჩაბარების მაგიერ ჩვენს ამხანაგებისათვის გადაუწყვეტიათ თითო წლის ციხე ადმინისტრატიული წესით! ე. ი. ჟანდარმული, ნიკოლოზის ნანდერძევ წესით. არც ჩვეულებრივი, არც საგანგებო და არც საველე სასამართლოს იმედი არა აქვს ქებულ ქართველ „დემოკრატიას“, მისი „მრავალი უტყუარი საბუთები“ ჩაყლაპა განსაკუთრებული რაზმის შეფის ადმინისტრატიულმა გენიამ, რიმელიც რამდენიმე თვის ყოყმანის შემდეგ კალავ დაუბრუნდა ნაცად გზას. ადმინისტრატიული დევნა ლეგალური პარტიის— ესაა უკანასკნელი პოლიტიკური სიბრძნე ჩვენებურ სახელმწიფოებრივ გვამთა, რომელნიც, როგორც ისმის, დემოკრატიულ სახელმწიფოს შენებაში უნდა იყვენ გართული; ესაა მენშევიკების უკანასკნელი განმარტება-კომენტირია რუსეთთან საზავო ხელშეკრულების.

## რუსეთის პროლეტარიატი როგორც მთელი რუსეთის ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი.

რუსეთში არ იყო განვითარებული ეროვნული კაპიტალი, აქ არ იყო ძლიერი ეროვნული ბურჟუაზია. ამ მხრივ რუსეთი განსაკუთრებული გზით მიდიოდა კაპიტალიზმისაკენ. რუსეთში მეფობდა უცხოეთის კაპიტალი. რუსეთის ეკონომიური განვითარების საჭე უცხო კაპიტალისტებს ეკავათ ხელში. უცხო კაპიტალმა რუსეთში ასე ვსთქვათ კაპიტალიზმის უკანასკნელი სიტყვა სთქვა. რუსეთის სინამდვილე, ერთის მხრივ, და დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის მთელი სასიცოცხლო ძალების ამოწურვა, მეორე მხრივ, ყოველივე შესაძლებლობას უსპობს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებს თავისი ბატონობა გაეხანგრძლივებიათ რუსეთში. მსოფლიო ომი ხომ ევროპის კაპიტალიზმის უაღრესათ განვითარებამ გამოიწვია. ეს ომი ხომ შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ის ისტორიული აუცილებლობა იყო. კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ, კულმინაციურ წერტილში წამოჭრილი. ამ ომმა დაამთავრა კაპიტალიზმის მიერ დაწყებული თავისთავის უარყოფის საქმე. ომის შედეგებმა ყველას ნათლად დაანახვა, რომ კაპიტალიზმს მეტი სასიცოცხლო ძალა აღარ მოეპოვება, რომ მან ცხოვრების მესაჭეობა სხვას უნდა დაუთმოს. ეს აზრი ამ უკანასკნელ კვირაში გაზ. „ერთობის“ ერთმა თანამშრომელმაც კი გაიზიარა. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ კაპიტალიზმმა რუსეთშიც ამოსწურა თავისი სასიცოცხლო ძალები. ევროპის კაპიტალიზმის კრიზისს აუცილებლათ თავის ფერხულში უნდა ჩაეთრია რუსეთიც და ეს ასე მოხდა კიდეც.

რუსეთში უცხოეთის კაპიტალის განვითარების მიხედვით განვითარდა რუსეთის პროლეტარიატიც. აქ ერთი მეორეს პირისპირ დაუდგენ არა რუსეთის პროლეტარიატი და რუსეთის ბურჟუაზია, არამედ, აქ შეხვდენ ერთი მეორეს უცხოეთის ბურჟუაზია და რუსეთის პროლეტარიატი. რუსეთის პროლეტარიატი აღიზარდა უცხოეთის კაპიტალიზმის კალთებზე. უცხოეთის ბურჟუაზიასთან ბრძოლაში განუვითარდა რუსეთის პროლეტარიატს კლასობრივი ბრძოლის გრძნობები. საზღვარ გარეთის ბურჟუაზია უკანტროლოთ სარგებლობდა რუსეთის სიმდიდრით. სად იყო ამ დროს რუსეთის ბურჟუაზია? ამ დროს რუსეთის ბურჟუაზიის მხოლოდ ჩანასახი იყო. მას რცხვენოდა კიდეც და ეშინოდა თავისი ნამდვილი სახის გამოჩენა და ის ამოფარებული იყო ცარიზმის ზურგს უკან. მეფის მთავრობა კი ყოველ მხრივ ხელს უწყობდა უცხოეთის ბურჟუაზიას რაც შეიძლება მეტი სარგებელი ენახა რუსეთში, რადგან რუსეთის მთავრობასაც წილი ედვა ამ მოგებაში. უცხოეთის ბურჟუაზია არ იმდურვებდა რუსეთის მთავრობას და მოგების მცირე ნაწილს მასაც უნაწილებდა. 1906 წელში (იხ. მისი „ამერიკელი მუშა“) კ. კაუცკი შემდეგს ამბობდა: „ახლანდელი მთავრობები ყველგან არიან მხოლოდ კაპიტალის კომისიონერები (შუამავლები), რუსეთის მთავრობა კი უცხოეთის კაპიტალის კომისიონერი არისო“. რუსეთის მთავრობა მხოლოდ შუამავლობას უწევდა ევროპის კაპიტალისტებს რუსეთის ხალხის გაყვლეფაში, რუსეთის სიმდიდრის გაზიდვაში.

ამ მთავრობას უდგა გვერდში რუსეთის უხერხემლო ბურჟუაზიაც. ისმება კითხვა,—ვის უნდა ეზრუნა რუსეთის ხალხის ინტერესებისათვის? ვის ხელში იქნებოდა ამ დროს ბრძოლის საჭე? რუსეთის ხალხი იტანჯებოდა უცხო კაპიტალის ბატონობისაგან. ამას ზედ ერთოდა მუქთა ხორა, არამზადა რუსეთის ბურჟუაზიის მადის დაკმაყოფილებაც, რომელიც (რუსეთის ბურჟუაზია) უცხო კაპიტალის წინაშე სანჩო-პანჩოს როლს თამაშობდა.

მაშასადამე ვინ იქნებოდა რუსეთის ხალხის მთავარი მებაირაღტრე? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ზემოთ ხსენებულ თავის წიგნში კ. კაუცკი. ის ამბობს: „ამიტომ მთელი რუსეთის ინტერესებისათვის ბრძოლა წილად ხვდება პროლეტარიატს... შემდეგ უმატებს რომ: „ამ ბრძოლაში პროლეტარიატს დიდ დახმარებას გაუწევს გლეხკაცობა მხოლოდ ისე არა, როგორც ხელმძღვანელი“. პროლეტარიატი და გლეხკაცობა აი, ის ორი ძალა, რომელმაც უნდა იზრუნოს რუსეთის მომავლისათვის. მთავარი მებაირაღტრე—რუსეთის პროლეტარიატი და მისი დამხმარე—გლეხობა. ესენი ჩაუდგებიან რუსეთის რევოლიუციას სათავეში და გასწევენ სოციალისმისაკენ. ასეთი იყო კარლ კაუცკის აზრი რუსეთის პროლეტარიატზე და გლეხობაზე მაშინ, როდესაც ის მარქსისტი იყო და რუსეთის პროლეტარიატს და რუსეთის რევოლიუციას ოპორტუნისტული სათვალეებით არ უყურებდა. მაშინ იმას ისიც კი სწამდა და ამბობდა რომ: „რუსეთის პროლეტარიატმა უნდა გვიჩვენოს ჩვენ მომავალიო“. (იხ. მისი „ამერიკელი მუშა“) მაგრამ მის მერე კარგა ხანმა განვლო. ბევრი რამ შეიცვალა ამ ქვეყნათ და ამ ცვლილების კანონს დაემორჩილა კ. კაუცკიც. მის მარქსისტულ აზროვნებაშიც მოხდა ცვლილება. როდესაც რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა შესდგა კ. კაუცკის მიერ ნაჩვენებ გზაზე, როდესაც რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა დაეპატრონა რუსეთის ბედიღბალს—ამ დროს კ. კაუცკი განზე გადგა და რაც ძალი და ღონე აქვს გმობს რუსეთის პროლეტარიატის და გლეხობის მოქმედებას, მოუწოდებს მათ შეიბრალონ ბურჟუაზია, მიუშვან ისინი საამრჩევლო ყუთებთან, საიდანაც ადვილათ შესძლებს ის ოქრო-ვერცხლის ყუთებთანაც მისვლას.

რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა შესდგა კ. კაუცკის მიერ ნაჩვენებ გზაზე. მათ რუსეთის მხსნელათ და დიქტატორათ გამოაცხადეს თავისი თავი. რუსეთის პროლეტარიატი მკაცრ ბრძოლას აწარმოებს რუსეთის ხალხის ყველა მტრების წინააღმდეგ. რუსეთში დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. იქნებ მიტომ არის გამწყრალი კ. კაუცკი რუსეთის პროლეტარიატზე, რომ მან თავისი დიქტატურა დაამყარა? იქნებ მარქსიზმი უარყოფდეს პროლეტარიატის დიქტატურას? მოუსმინოთ ამის შესახებ კ. კაუცკიზე უფრო ავტორიტეტულ „მარქსისტს“ — კ. მარქსს. ის ამბობს: „კაპიტალისტურსა და კომუნისტურ საზოგადოებას შუა არსებობს ხანა პირველის მეორეთ რევოლიუციონურად გარდაქცევისა. ამ ხანას შეეფერება პოლიტიკური, გარდამავალი ხანაც და ამ ხანის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა რაიმე თუ არა, პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა“.—ასეთია კ. მარქსის აზრი პროლეტარიატის დიქტატურაზე. იქნებ ბ. კ. კაუცკის არ მოსწონს ის, რომ რუსეთის პროლეტარიატი მართლაც და ასეთი სიმკაცრით უსწორდება თავის კლასობრივ მტრებს, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გამოუგლოვიათ წარსული, დაკარგული ბედნიერება და ჩუმათ თუ აშკარათ შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და მით ხელს უშლიან რუსეთის პროლეტარიატს შეუდგეს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს. პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად პირველი ცდა ეკუთვნის 1871 წელს პარიჟის პროლეტარიატს. პარიჟის პროლეტარიატმა რუსეთის მუშათა საბჭოსებური მთავრობა დაარსა. ამ მთავრობას „პარიჟის კომუნა“ ერქვა სახელათ. პარიჟის კომუნის დროს ბ. ლუიბლანი—ეს დღევანდელი კარლ კაუცკი—ვერსალში ბრძანდებოდა. მის თვალ წინ ადგენდენ იმ საშინელ გეგმებს, რომლებიც პარიჟის კომუნის დამარცხების შემდეგ სისრულეში მოიყვანა ტიერმა, რომელმაც კომუნისტების სისხლით მორწყო პარიჟის ქუჩები. ვნახოთ თუ რას „უსაყვედურებს“ პარიჟის კომუნას—ამ, ეხლანდელ მუშათა საბჭოებს, კარლ მარქსი. ის ამბობს: „განა პირიქით ის არ უნდა უსაყვედროთ ჩვენ კომუნას, რომ მან ძალიან ნაკლებათ გამოიყენა ეს ავტორიტეტი“. აქ ლაპარაკია შეიარაღებულ ძალაზე, რისთვისაც მარქსი ეუბნება კომუნას. რომ ამ ძალით უფრო გადაჭრით უნდა გემოქმედნა შენი მტრების წინააღმდეგო.

რუსეთის პროლეტარიატმა ისარგებლა პარიჟის კომუნის გაკვეთილებით. ის არ დაუშვებს იმავე შეცდომებს, რაც პარიჟის კომუნამ დაუშვა. რუსეთის პროლეტარიატი, კერძოთ, მთელი რუსეთის ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლის როლში გამოდის და საზოგადოთ კი, მას საერთაშორისო კომუნიზმის დროშა უჭირავს ხელში და მთელი ქვეყნის პროლეტარებს და აღმოსავლეთის დაჩაგრულ, გაყვლეფილ ხალხებს საბრძოლველათ მოუხმობს —ძველი ქვეყნის ძირბუდიანათ ამოსაგდებათ. უკვე ჩამოირეკა ბურჟუაზიის ბატონობის უკანასკნელი ზარი. რუსეთის პროლეტარიატს ამ ახალ ბრძოლაში პირველი ადგილი ექნება. ის იბრძოლებს მანამდის, მთელს ქვეყანაზე, სანამ არ დამყარდება საერთაშორისო მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

**ვ. დეკანოზი.**

## კაპიტალისტური ქვეყნიერება და კომუნისტური ინტერნაციონალი

(მანიფესტი კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის).

### I.

### საერთაშორისო ურთიერთობანი ვერსალის შემდეგ.

მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია მწუხარედ იგონებს გუშინდელ დღეს. საერთაშორისო და შინაურ ურთიერთობათა ყველა საძირკვლები ანგრეული ან შერყეულია. ხვალინდელი დღე შავბნელ მუქარით ჩამოსწოლია ექსპლუატატორთა ქვეყნიერებას. იმპერიალისტურმა ომმა საბოლოოდ დალეწა კავშირების და საურთიერთო დაზღვევის ძველი სისტემა, რომელიც საფუძვლათ ედო საერთაშორისო წონასწორობას და შეიარაღებულ ზავს. ვერსალის ზავმა მის მაგიერ ვერ შექმნა ვერავითარი ახალი წონასწორობა.

პირველათ **რუსეთი**, შემდეგ **ავსტრო-ვენგრია და გერმანია** აღმოჩნდენ გამოგდებული მსოფლიო ფერხულიდან. ეს უძლიერესი ქვეყნები, რომლებსაც პირველ ხარისხოვანი ალაგი ეკავათ მსოფლიოს დატაცების სისტემაში, თითონ გადაიქცენ ცარცვა-გლეჯის და დანაწილების ობიექტად. ანტანტის გამარჯვებულ იმპერიალიზმის წინაშე გაიხსნა კოლონიალური ექპლოატაციის ახალი თვალუწვდენელი სივრცე, რომელიც იწყება მდ. რეინის ნაპირთან, გადადის მთელს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაზე და თავდება ბოლოს წყნარ ოკეანეს ნაპირებით. განა რაშიმე შეედრებიან კონგო ან სირია, ეგვიპტე, ან მექსიკა რუსეთის ველებს, ტყეებს და მთებს, ხოლო კვალიფიციურ სამუშაო ძალას გერმანიისას? გამარჯვებულთა ახალი კოლონიალური პროგრამა თავის თავად გამოისახა: დამხობა მუშური რესპუბლიკის რუსეთში, წაღლეტა რუსეთის ნედლი მასალის, მის გადასამუშავებლათ ნემეც მუშის იძულება ნემცებისვე ქვანახშირის ხმარებით და ნემცების შეიარაღებულ მწარმოებლის მიჩენით ზედამხედველის როლში,—და სრულს თავის განკარგულებაში მიღება დამზადებული პროდუქტის, მასთან ერთად მოგების. გერმანიის იმპერიალიზმმა, როცა მას ერგო უდიდესი სამხედრო გამარჯვებები, წამოაყენა პროგრამა: „ევროპის ორგანიზაციურად მოწყობა“. ეს პროგრამა მემკვიდრეობით გამარჯვებულ ანტანტას ერგო. როცა ანტანტას მმართველები საბრალმდებლო სკამზე აჯენენ გერმანიის იმპერიის დამარცხებულ ბანდიტებს, ისინი მათ ასამართლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ ჭეშმარიტათ თანასწორთა სამართლით.

მაგრამ თვით გამარჯვებულთა ბანაკშიაც აღმოჩნდენ თავისიანი დამარცხებულნი.

ბურჟუაზიულ საფრანგეთს, გაბრუებულს გამარჯვების შოვინისტური ოხშივარით, გამარჯვების, რომელსაც მან მიაღწია სხვებისთვის, თავისი თავი ევროპის ბრძანებლათ წარმოუდგენია. ნამდვილათ კი საფრანგეთი, თავისი არსებობის საფუძვლებით, არასოდეს არ ყოფილა ისეთ მონურ დამოკიდებულებაში უფრო ძლიერ ინგლისთან და ჩრდილოეთ ამერიკასთან, როგორც ახლა. საფრანგეთი უკარნახებს ბელგიას განსაზღვრულ ეკონომიურ და სამხედრო პროგრამას და ამით უფრო სუსტ მოკავშირეს აქცევს დამონავებულ პროვინციად, ხოლო ინგლისთან ურთიერთობაში თითონ თამაშობს ბელგიის როლს, თუმცა რამოდენიმეთ უფრო მეტი ზომისას.

ინგლისის იმპერიალისტები ჯერჯერობით თავისუფლებას აძლევენ საფრანგეთის მევახშეებს ითარეშონ მათთვის მიჩნეულ კონტინენტის ფარგლებში, - და ამით მოხერხებულათ იცილებენ თავიდან და მიმართავენ საფრანგეთის წინააღმდეგ უკიდურეს აღშფოთებას ევროპის და თვით ინგლისის მშრომელებისას. სისხლისგან დაცლილ და და განადგურებულ საფრანგეთის ძლიერებას მოჩვენებითი, თითქმის ბუტაფორული ხასიათი აქვს; ერთი დღით ადრე თუ გვიან ამის შეგნება შეანათებს თვით საფრანგეთის სოციალ-პატრიოტების ტვინში.

კიდევ მეტათ დაეცა მსოფლიო ურთიერთობაში **იტალიის** შედარებითი წონა. მოკლებული ქვანახშირს, პურს, ნედლ მასალას, სავსებით ამოგდებული შინაურ წონასწორობის ფარგლებიდან ომის წყალობით, ბურჟუაზიული იტალია, მიუხედავათ იმისა რომ მას არ აკლია ბოროტი ნება, სრულიად მოკლებულია უნარს სავსებით განახორციელოს თავისი უფლება ძარცვა-გლეჯის და ძალადობის იმ კოლონიალურ კუნჭულებშიც კი, რომლებიც მას მიუჩინა ინგლისმა.

**იაპონია**, რომელიც იწეწება ფეოდალურ ქერქში მოქცეულ კაპიტალისტურ წინააღმდეგობებით, სდგას ულრმეს რევოლიუციონური კრიზისის წინ, რომლის ზეგავლენით მისი იმპერიალისტური მადა-მიდრეკილება დამბლა დაცემულია მიუხედავათ ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებისა.

რჩება მხოლოდ ორი ნამდვილათ მსოფლიო სახელმწიფო: **დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები.**

ინგლისის იმპერიალიზმმა თავი გაითავისუფლა ცარიზმის მეტოქეობისაგან აზიაში და ნემცების საშიშარ კონკურენციისაგან. დიდი ბრიტანეთის საზღვაო ძლიერებამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია: მან კონტინენტს გარს შემოარტყა მისი მორჩილი ხალხების ჯაჭვი. დაადვა რა ხელი ფილიანდიას, ესტონიას და ლატვიას, ის უსპობს შვეციას და ნორვეგიას დამოუკიდებლობის უკანასკნელ ნაშთს, და ბალტიის ზღვას აქცევს დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ ყურედ. მას მოწინააღმდეგე აღარ ჰყავს ჩრდილოეთის ზღვაში. კაპლანდიას, ეგვიპტეს, ინდოეთის, სპარსეთის, ავღანისტანის საშუალებით ის ინდოეთის ოკეანეს დიდი ბრიტანეთის ზღვათ აქცევს. ოკეანეზე გაბატონებული ინგლისი კონტროლს უწევს ხმელეთსაც. მისი როლი, როგორც მსოფლიოს მპყრობელის, შეზღუდულია მხოლოდ დოლლარის მოტრფიალე ამერიკის რესპუბლიკით და — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკით.

მსოფლიო ომმა საბოლოოდ გამოიყვანა შეერთებული შტატები კონტინენტალურ კონსერვატიზმიდან. ფრთა გაშლილ ნაციონალურ კაპიტალიზმის პროგრამამ — „ამერიკა მხოლოდ ამერიკელებს“ (მონროე-ს მოძღვრება) ადგილი დაუთმო იმპერიალიზმის პროგრამას: „მთელი მსოფლიო ამერიკელებს“. ამერიკის ვაჭრობა მრეწველობამ და ბირჟამ ექსპლოატაცია გაუწია ომს, ნეიტრალურად გამდიდრდა ევროპის სისხლზე, შემდეგ კი ამერიკა ომში ჩაერია, მან გადამწყვეტი როლი შეასრულა გერმანიის საშინელ დამარცხებაში და ხელები ააფათურა ევროპის და მსოფლიო პოლიტიკის ყველა საკითხებში.

ნაციათა ლიგის დროშის ქვეშ შეერთებული შტატები შეეცადა გაევრცელებია ოკეანეს იქითა მხარეზედაც საკუთარი გამოცდილება მოსახლეობის დიდ და მრავალ ტომიან მასსების ფედერატიულათ გაერთიანებისა, შეეცადა თავის ოქროს ურემზე მიბმას ევროპის და დედამიწის სხვა ნაწილების ხალხებისას მათთვის ვაშინგტონიდან მმართველობის უზრუნველყოფით. ნაციათა ლიგა უნდა გადაქცეულიყო არსებითად მსოფლიო მონოპოლიურ ფირმად „იანკი და კამპ.“

შეერთებული შტატების პრეზიდენტი, დიდებული წინასწარმეტყველი ზოგადი ფრაზების სფეროში, ჩამოვიდა სინაის მთიდან ევროპის დასაპყრობად თავისი 14 მუხლიანი პროგრამით ხელში. ბირჟის გმირები, მინისტრები, ბურჟუაზიის საქმის ხალხი ერთი წუთითაც არ მოტყუებულან ახალი ღვთიური შთაგონების შესახებ. სამაგიეროთ კაუცკის საფუარზე აღმოცენებული ევროპის „სოციალისტები“ რელიგიოზურ აღტყინებით ატაცებულნი ცეკვა-ხტომით, ვით მეფე დავითს აედევნენ ვილსონის სალვთო კიდობანს.

რიცა პრაქტიკულ საკითხებზე მიდგა საქმე, ამერიკელ მოციქულისთვის ნათელი შეიქნა, რომ თუმცა დოლლარის კურსი საუცხოვოა, პირველობა ყველა საზღვაო გზებზე, რომლებიც ყოფენ და აერთიანებენ ნაციებს, უწინდებურათ მაინც ინგლისის ხელშია, ვინაიდან მას აქვს ძლიერი ფლოტი, უფრო გრძელი ზღვის ტელეგრაფის მავთული და დიდიხნის გამოცდილება ქვეყნიერების ძარცვა-გლეჯის. ამას გარდა, ვილსონს გზაზე გადაეღობა საბჭოთა რესპუბლიკა და კომუნიზმი. შეურაცხყოფილმა ამერიკელმა მისსიამ უარჰყო ნაციათა ლიგა, — რომელიც ინგლისმა თავის ერთ-ერთ დიპლომატიურ კანცელარიად გადააქცია, — და ზურგი მიუბრუნა ევროპას.

მაგრამ უსუსურობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ პირველ შეტევისას ინგლისის მიერ უკუქცეული ამერიკის იმპერიალიზმი კარჩაკეტილი დარჩება მონროეს დოქტრინის ნაჭუჭში. არა, განაგრძობს რა სულ უფრო მეტი ძალდატანებით დამორჩილებას ამერიკის ხმელეთისას, აქცევს რა ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკას თავის კოლონიად, შეერთებული შტატები თავის ორ მმართველ პარტიის — დემოკრატების და რესპუბლიკანელების — სახით ემზადება წინააღმდეგ ინგლისის ნაციათა ლიგისა, საკუთარი ლიგის შესაქმნელად, ე. ი. ისწრაფის ჩრდილოეთი ამერიკა აქციოს მსოფლიო სისტემის ცენტრად. რათა საქმეს შესაფერისად შეუდგეს, ამერიკის შტატებს განზრახული აქვთ ახლობელ სამს თუ ხუთიოდე წლის განმავლობაში თავისი ფლოტი უფრო ძლიერი გახადოს დიდი ბრიტანეთის ფლოტთან შედარებით. ამით იმპერიალისტური ინგლისის წინაშე დგება ყოფნა-არყოფნის საკითხი. ორი ბუმბერაზის გააფთრებულ შეჯიბრებას სამხედრო გემთა შენებაში სდევს არა ნაკლებ გააფთრებული ბრძოლა ნავთის დაპყრობის გამო.

საფრანგეთი, — რომელიც ფიქრობდა მედიატორეს როლი ეთამაშა ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შუა, მაგრამ რომელიც დიდი ბრიტანეთის გავლენის წრეში ჩათრეული აღმოჩნდა, როგორც მეორე ხარისხოვანი თანამგზავრი, — აუტანელ ტვირთად თვლის თავისთვის ნაციათა ლიგას და გამოსავალს ეძებს ინგლისსა და ჩრდილოეთ ამერიკის შუა ანტაგონიზმის გაღვივებაში.

ამ რიგად უუდიდესი ძალები მუშაობენ ახალი მსოფლიო პირისპირ შეტაკების მოსამზადებლად.

(შემდეგი ხვალ).

# ინტერნაციონალის გარშემო

**კომუნისტური ინტერნაციონალის მე 2 კონგრესი მოსკოვში.**

(გაგრძელება. იხ. „ახ. კომ.“ № 63).

## მეთერთმეტე სხდომა

(სამ აგვ. დილას).

მოხსენებას პროფესიონალურ კავშირის და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საკითხის შესახებ აკეთებს

ამხ. რადეკი.

**პროფესიონალურ კავშირების ზრდა.**

თავის მოხსენების დასაწყისში ის უთითებს თვით საკითხის მეტად მნიშვნელობაზე. პროფესიონალური კავშირები აერთიანებენ მილიონ მუშებს, ხოლო პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ ისინი უნდა შეიქნენ პროლეტარიატის დიქტატურის ერთი ძირითადი სამეურნეო ორგანიზაციათაგანი. ამ გვარად სრულიად არ არის სწორი ის აზრი, რომ ვითომ პროფესიონალურ კავშირებს სიკვდილი მოელოდეთ. ომის შემდეგ ჩვენ ყველგან ვამჩნევთ პროფესიონალურ ორგანიზაციების წევრთა რიცხვის გიგანტისებურ ზრდას: გერმანიაში ომამდის იყო ორნახევარი მილიონი, ახლა 8 მილიონია; ინგლისში — ომამდის ოთხნახევარი მილ. და ახლა — ექვსნახევარი მილიონი; საფრანგეთში — 400 ათასი ომამდის და 2 მილიონი ახლა; იტალიაში ამ ჟამათ ირიცხება პროფესიონალურ კავშირებში 2 მილიონი; ამერიკაში 2 მილიონიდან ავიდა 4 მილიონამდე და ასე სხვა. ისწავლეს რა ომის გამოცდილებიდან მასიურათ მოქმედება, მუშები ბუნებრივათ ისწრაფვიან სწორეთ მასიური ძლიერი ორგანიზაციების მოწყობისაკენ, ისინი სწორეთ ამიტომ შედიან პროფესიონალურ კავშირებში.

**ჩვენ და პროფესიონალური კავშირები.**

ჩვენი ტაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამომდინარეობდეს ეკონომიურ კონიუნქტურის და მომენტის დაფასებისაგან. ამჟამათ ჩვენ განვიცდით კაპიტალიზმის დაშლის ეპოქას. თითქმის ისეთი ქვეყნებიც კი, როგორიცაა ამერიკა და ინგლისი. განიცდიან უეჭველ კრიზისს. ახლა არავითარი შესაძლებლობა არაა მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესობის სამუშაო ქირის გადიდებისათვის ბრძოლის გზით, ან და, როგორც ოპორტიუნისტები ფიქრობენ რეფორმების საშვალებით. თუ ჩვენ ავიღებთ მხოლოდ ორ მაგალითს — დამარცხებულ გერმანიას და გამარჯვებულ ამერიკის დავინახავთ მუშათა კლასის მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობას, მისი საარსებო დონის დაწევას, რომელიც სულ უფრო და უფრო გამწვავდება კაპიტალისტურ წყობილების ურთიერთობათა ნგრევის გამწვავებასთან ერთათ. კრიტიკოსები მარცხნიდან ამბობენ, რომ ეკონომიური ბრძოლა უსარგებლოა: აყენებენ პროფესიონალური კავშირების საბოტაჟის ლოზუნგს. მაგრამ ეს ლოზუნგი კონტრ-რევოლიუციონურია: საბოტაჟი არ შეიძლება მიღებულ იქნას ბრძოლის წესში: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, თუ უკიდურესი საჭიროება არ არის, არ შეიძლება იმ საწარმოვო საშვალებების დანგრევა, რომლებითაც ჩვენ მოგვიხდება მუშაობა; მეორეთ, იმიტომ, რომ ამ ლოზუნგს წმინდა პასიური ხასიათი აქვს.

**პროფესიონალური კავშირების გარევოლიუციონერება.**

კომუნისტების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩაითრიონ მეტად ფართო მასსები ბრძოლაში, შექმნან ახალი ფრონტი, გაამწვავონ ეს ბრძოლა. ოპორტიუნისტულ კავშირების რევოლიუციონური კავშირებათ გადაქცევის ამოცანის გამოყვანის დროს ჩვენ მოგვიხდება არაჩვეულებრივ სიძნელესთან დაჯახება სხვა და სხვა ქვეყნებში მეტად სხვა და სხვა პირობებში. გერმანიაში, მაგალითად, კავშირებმა დაიპყრეს საკმარისათ ფართო მასსები, ისინი უკვე აღარ არიან არისტოკრატიის ორგანიზაციები; ამერიკაში, წინააღმდეგ, A. F. fo I. ბედის უმთავრესათ მუშათა არისტოკრატია, კვალიფიციონური მუშები, ფართო მუშათა მასსები შეუკავშირებელია, და ამიტომ ჩვენ აქ ანგარიში უნდა გავუწიოთ ახალი რევოლიუციონური პროფესიონალურ კავშირების შექმნის შესაძლებლობას, რომლებიც გააერთიანებენ არაკვალიფიციონურ პროლეტარიატს. ამერიკის პირობებში ჩვენ იმავე მიზნით მხარი უნდა დაუჭიროთ S. M. M. („მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშებს“). მაგრამ, მეორე მხრით, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ A. F. of I.-შიც, ვინაიდან გარევოლიუციონერების საერთო პროცესმა ისიც ჩაითრია რასაც ბურჟუაზიული პრესაც კი აღნიშნავს თითქმის. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრით ამერიკის პროფესიონალურ კავშირების უკანასკნელი კონგრესი, სადაც ტომნერსმა გაუგონარი დამარცხება იგემა. ამგვარათ ჩვენ წინაშე არის ამოცანა პროფესიონალური კავშირების დაპყრობის და არა მათი დარღვევის.

**საფაბრიკო — საქარხნო კომიტეტები**

საფაბრიკო მამასახლისთა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ხელში იგდებენ დღეს პროლეტარიატის ყველაზე უფრო რევოლიუციონურათ განწყობილ, ყველაზე უფრო აქტიურ ელემენტებს. სისულელეა მათ წინააღმდეგ იმ არგუმენტის წამოყენება, რომ ისინი ქაოტიურ მდგომარეობაში არიან, არა საკმარისათ შეკავშირებულნი არიან და არ აქვთ სტატუტები და სხვ. ამ ქაოსიდან იბადება ახალი ცხოვრება. გერმანიაში, მაგალითად, მასსები ეტანებიან საფაბრიკო-საქარხნო, კომიტეტებს, ვინაიდან კავშირები ვერ აკმაყოფილებენ მათ არა მარტო იმიტომ, რომ იქ ბატონობს ბიუროკრატია, არამედ იმიტომაც, რომ კავშირები ცეხური ორგანიზაციებია, არ აერთიანებენ მთელს მასსას. ამიტომ ვერ უძლებს კრიტიკოსის აზრი, რომ არ არის საჭირო პარალელური ორგანიზაციების შექმნა, ვინაიდან ეს ვითომ ასუსტებს მხოლოდ ბრძოლას. პირიქით, ჩვენ ყველაფრით უნდა დავეხმაროთ ამ ახალ ორგანიზაციებს, რომლებმაც აიღეს თავის თავზე ბიუროკრატიასთან ბრძოლის ინიციატივა. მაგრამ კაპიტალიზმის დროს ზედმეტია ფიქრი ამ ორგანიზაციების, როგორც სამეურნეო აპარატების, საბოლოო ჩამოყალიბებულ სისტემატიზაციაზე, ისინი არიან მებრძოლი ორგანოები, რომლებიც იბრძვიან წარმოებაზე კონტროლისთვის დ მუშათა მართველობისათვის. ცხადია, კომუნისტები სათავეში უნდა ედგენ ამ ორგანიზაციებს, უხელმძღვანელებდენ მათ, ინიციატივას ღებულობდენ თავიანთ თავზე. მეორე მხრით, ჩვენ განსაკუთრებით ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ, თუმცაღა ჩვენ სინდიკალისტურ მოძრაობას რევოლიუციონურათ ვთვლით და ბლოკში შევდივართ სინდიკალისტებთან, — მაგრამ ჩვენ სინდიკალისტური თვალსაზრისი მივვაჩნია სრულიად შემცდარათ, ვინაიდან ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დაუმსხვრევლად და პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე შეუძლებელია გამარჯვება.

ამრიგათ, სწორეთ იმიტომ, რომ მოგვყვებოდენ მუდმივათ მასსები, ჩვენ, კომუნისტები, მეტის-მეტად ენერგიული მუშაკები უნდა ვიქნეთ პროფესიონალურ კავშირებში და საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებში. ამხ. რადეკის მოხსენების შემდეგ ამხ. ზინოვიევი აუწყებს კრებას, რომ დარბაზში იმყოფება ქივის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელიც თხოულობს სიტყვას მისალმებისათვის.

**ქივის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლის მისალმება.**

კონგრესი ქივის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელს მქუხარე ტაშის ცემით ხვდება. ესწრება რა კონგრესს ქივის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით, ის ამბობს, რომ მოხარულია დაესწროს მე III ინტერნაციონალის მე-II კონგრესს, ბედნიერია ნახოს მსოფლიოს ყველა მშრომელთა გაერთიანების ეს სიმბოლო და პროლეტარიატის განთავისუფლების თავდები. „რევოლიუციამდის, — ამბობს ის, ჩვენ ვიტანჯებოდით იმპერატორებისა და კაპიტალისტების უღლის ქვეშ: ეს რეჟიმი მშრომელთათვის საპყრობილე იყო და აძლევდა თავისუფლებას მხოლოდ მდიდრებს. ახლა მოხდა რევოლიუცია და ქივა გადაიქცა პირველ საბჭოთა რესპუბლიკათ აღმოსავლეთში. მაგრამ ქივის მშრომელნი ჩათვლიან თავის ამოცანას დასრულებულათ მხოლოდ მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის და დასავლეთის ყველა მშრომელნი განთავისუფლებულ იქნებიან კაპიტალის უღლისაგან“.

სიტყვას ამხ. რადეკის მოხსენების შესახებ ღებულობს.

**ამხ. ფრიანე (ამერიკა).**

ის აღნიშნავს, რომ კითხვაზე პროფესიონალურ კავშირებიდან და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან დამოკიდებულების შესახებ მე-II ინტერნაციონალში მხოლოდ უმნიშვნელო უთანხმოება აღმოჩნდა, და ისიც პრინციპიალური ხასიათის კი არა, არამედ წმინდა პრაქტიკულის. თეზისების ავტორმა მისი აზრი საკმარისათ არ მიიღო სახეში ამერიკული პირობები. უკვე მოწოდებაც პროფესიონალური კავშირებისადმი, რომელიც გამოშვებული იყო რუსეთის, გერმანიის და იტალიის კავშირების სახელით, შეიცავს ზოგიერთ დებულებებს, რომლებითაც ხელმძღვანელობა არ შეიძლება ამერიკაში. იქ, სხვათა შორის ნათქვამია რომ კომუნისტებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასტოვონ პროფკავშირები, მაგრამ ამერიკისთვის, სადაც პროფკავშირები აერთიანებენ მხოლოდ მუშათა არისტოკრატიას, სადაც მთელი მუშების 80 პროც. სრულიად შეკავშირებულია, სადაც ერთი მეტისმეტად ძლიერი კავშირთაგანი, სახელდობრ, ლითონზე მომუშავეთა, რომელშიაც ითვლება რვა-ასი ათასი წევრი, არ შედის ფედერაციაში, სადაც სულერთიანათ ბატონობს ფლიდი პროფესიონალური ბიუროკრიტია, — ეს მუხლი სრულიად მიუღებელია. ამხ. ფრიანე გამოსთქვამს მწუხარებას, რომ მოწოდების გამომუშავების დროს არ იყვენ მიწვეულნი S. W. W. (ამერიკის ინდუსტრიალური მუშების) წარმომადგენლები.

დაბოლოს გვითითებს ის იმაზე, რომ კომუნისტებმა უნდა გამოიყენონ პროფკავშირები არა მარტო, როგორც ტრიბუნა პროპაგანდისთვის, არამედ უნდა მომამზადონ ისინი რევოლიუციისთვისაც, ძალა უფლების დაპყრობისათვისაც.

**ამხ. ტეკკერიც (ინგლისი)**

ამბობს აგრეთვე, რომ თეზისების გამომუშავების დროს სახეში არ იქნა მიღებული განსაკუთრებული პირობები ინგლის-საქსონიის ქვეყნებში, არ იქნა მიღებული სახეში ის როლი, რომელსაც ომის შემდეგ თამაშობდენ შოპ-სტიუარტები (საფაბრიკო მამასახლისთა საბჭოები) ინგლისში. ხელმძღვანელების ბიუროკრატიზმის დამარცხება პროფკავშირებში და უკანასკნელთა გარევოლიუციონერება — ძალიან ძნელი საქმეა. არის პირობები, როდესაც შეიძლება და კიდეც უნდა დავტოვოთ ძველი კონსერვატიული პროფკავშირები.

**მეთორმეტე სხდომა** (3 აგვის. საღამოს)

გრძელდება კამათი ამხ. რადეკის მოხსენების შესახებ პროფესიონალურ მოძრაობასთან დამოკიდებულებაზე.

ამხ. რადეკის თეზისების მომხრეთ გამოდის

**ამხ. ვალხერი (გერმანია).**

უწინარეს ყოვლისა ის აღნიშნავს, რომ მომხსენებელი შეცდა, როდესაც სთქვა, რომ თითქოს როზალიუქსენბურგიც კი იყო გერმანიის კომუნისტურ პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე ძველ პროფ. კავშირებში კომუნისტების მონაწილეობის წინააღმდეგი. ნამდვილათ კი, — ამბობს ამხ. ვალხერი, — ის სასტიკათ გამოდიოდა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ჯვარს უსვამდენ მასიურ ოპორტიუნისტულ პროფ. კავშირებს. ინგლისში და ამერიკაში ურთიერთობანი მართლაც რომ ძალიან რთულია და სავსებით გასაგებია ხიბლის ის გრძნობა პროფ. კავშირთა ბელადების პოლიტიკანობის მიმართ, რომელსაც განიცდიან ამხანაგები ამ ქვეყნებში, ეს უკვე გამოიხატა ბევრი ამხანაგების მხრიდან პარლამენტარიზმის საკითხის შესახებაც. მაგრამ სახეში უნდა მივიღოთ ობიექტიური რევოლიუციონური სიტუაცია, რომელიც შეძლებას გვაძლევს კომუნისტებს შიგნიდან გარდავქმნათ ეს მსხვილი ორგანიზაციები. ზოგიერთ ამხანაგებს ეს ამოცანები ძალიან ძნელად ეჩვენებათ, მაგრამ უნდა ითქვას ერთხელ და სამუდამოთ, რომლებიც მიყვებიან ამ კავშირებს, ვერ შესძლებენ კომუნისტები გამოიყვანონ თავიანთი რევოლიუციონური ამოცანები, და რომ მთელი ძალა უფლების დასაპყრობათ აუცილებელია უწინარეს ყოვლისა პროფ. კავშირ. დაპყრობა. იმის დასამტკიცებლათ, რომ შესაძლებელია და აუცილებელიცაა კომუნისტებისთვის ბრძოლა კავშირებს შიგნით, მას მოყავს თავის ნახევარი წლის გამოცდილება გერმანიის ლითონზე მომუშავეთა კავშირში. ამხ. ვალხერი წინააღმდეგია აგრეთვე საბოტაჟის, როგორც ბრძოლის სისტემატიური საშვალების, მაგრამ აღიარებს, რომ არის ისეთი განსაკუთრებული მომენტები, როდესაც საბოტაჟი კანონიერია და მიზანშეწონილი. შემდეგ ის გაპარაკობს გერმანიის კომუნისტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოკიდებულების შესახებ საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებთან და ამართლებს მემარცხენე დამოუკიდებლების ტაქტიკას, რომლებიც უპირდაპირებენ ამ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების ორგანიზაციებს რეაქციონურ პროფ. კავშირებს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ბ. ბ. ლელენინი და კომპ. ეყრდნობიან რა მემარჯვენე დამოუკიდებლებს, ჯერ-ჯერობით სრული გამარჯვებული არიან ამ კითხვაში, მაგრამ ჩვენ,—ამბობს ამხ. ვალხერი,—მხარს დავუჭერთ გერმანიის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საყოველთაო ყრილობას, და შეგნებულათ ვიბრძოლებთ მათი დამოუკიდებლათ გაერთიანებისათვის პროფ. კავშირების წინააღმდეგ.

შემდეგ გამოდის

### ამხ. ბილაკი.

რომელიც ამბობს, რომ არ უნდა დავივიწყოთ ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ევროპის და ამერიკის პროფესიონალურ კავშირებს შორის. ამერიკაში შეუძლებელია პროფესიონალურ კავშირების გარევოლიუციონერება შიგნიდან. ამხ. ბილაკი ფიქრობს, რომ შეუძლებელია, საერთოდ ყველა ქვეყნის კომუნისტების ყოფაქცევის საერთო გეგმის გამომუშავება ამ კითხვაში.

### ამხ. ბომბაჩი

ამბობს, რომ ჩვენი დამოკიდებულება პროფ. კავშირებთან ისეთივე უნდა იყოს, როგორც პარლამენტთან. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ისინი, რომ ვაწარმოვოთ მათში კომუნისტური პროპაგანდა, მაგრამ ვერასოდეს ვერ გახდებიან პროფ. კავშირები აქტიურ რევოლიუციონურ ორგანიზაციებათ პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დასაპყრობათ. პროფ. კავშირები გაჟღენთილი არიან შემთანხმებელი ტენდენციებით, ხოლო უკანასკნელ პერიოდში ისინი ოპორტიუნისტულ სოციალისტურ პარტიებივით თითქმის ბურჟუაზიის ყავარჯენიც კი გახდენ. იტალიის პროფ. კავშირებში ბოტონობს ერთის მხრით, მუშათა არისტოკრატია, რომელიც სულერთიანათ გამსჭვალულია რეფორმიზმით, და, მეორე მხრით, ანარქო-სინდიკალისტები. ჩვენი გავლენა იქ არ არის ძლიერი.

### ამხ. ლოზოვსკი

ნახულობს, რომ ბევრი ამხანაგები სრულებით ვერ აფასებენ სწორათ პროფესიონალურ მოძრაობის მნიშვნელობას დღევანდელ ისტორიულ მიმენტში, რამდენათაც ლაპარაკია ფართო მუშათა მასებზე და არა პროფკავშირების ბელადებზე, არ არის მართალი ბომბაჩი, როდესაც ამბობს, რომ ისინი მუდამ კომუნიზმის გარეშე დარჩებიან, სხვანაირათ ხომ შეუძლებელი იქნებოდა სოციალური რევოლიუცია. უკანასკნელ ხანებში ემჩნევა პროფესიონალურ მოძრაობას ამერიკაში, ინგლისში და გერმანიაში ძლიერი ზრდა ახალ რევოლიუციონურ ელემენტების ხარჯზე, რომლებმაც სრულებით შესცვალეს მთელი ფიზიონომია ამ ორგანიზაციების, რომლებსაც, როგორც მხგალითად, ინგლისში, თითქმის მთელი ასი წლის ისტორიაც კი აქვს. ტრედ-უნიონების ეს შეცვლილი ხასიათი იმის თავდებია, რომ ძველ რეაქციონური ბელადები გაძევებული იქნებიან იქიდან. ამხ. ლოზოვსკის აზრით ღრმათ შემცდარი და რეაქციონურია იმ ამხანაგების თვალსაზრისი, რომლებიც, ეყრდნობიან რა პროფკავშირებში კომუნისტურ გავლენის სისუსტეს, გვირჩევენ განვისაზღვროთ კომუნისტურელ ემენტების გაერთიანებით. აუცილებელია მეტად მტკიცე და ენერგიული კომუნისტურ პროპაგანდის წარმოება თვით შიგ პროფესიონალურ ორგანიზაციებში, რათა მოვამზადოთ ისინი იმ როლისათვის, რომელიც უნდა ითამაშონ პროფკავშირებმა ჩვენს ეპოქაში.

პრეზიდიუმს წინადადება შემოაქვს შეწყვეტილ იქმნას კამათი ამ კითხვის შესახებ. ეს წინადადება იწვევს ცხარე კამათს და დავას ინგლის-საქსური ჯგუფის დელეგატების მხრიდან, რომლებიც მოითხოვდენ დებატების გაგრძელებას.

### ამხ. ამხ. რადეკისა და ზინოვიევის

გამოსვლების შემდეგ, რომლებიც უთითებდენ იმაზე, რომ ამ კითხვას მინდობილი ჰქონდა გარდა პლენარული სხდომისა, კომისიის სხდომა, და რომ ყველა შეტანილი შესწორებანი კიდევ გაირჩევა კომისიაში, პრეზიდიუმის წინადადება მიღებულ იქნა. ამხ. რადეკის თეზისები მიღებულ იქმნა 64 ხმით 11 წინააღმდეგ საფუძვლად და ყველა შესწორებებით გადაცემულ იქნა.

სალამოს სხდომა დაიხურა 12 საათზე.

(შემდეგი იქნება)

## ბიულეტენი პრესბიუროსი

### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

### რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ლატვიაში.

**რიგა,** 4 ოქტ. ამხ. განეცკის მეთაურობით ლატვიაში მივიდა რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სრულ-უფლებიანი წარმომადგენლობა.

### აფეთქება.

**კოპენგაგენი,** 20 სექტემბერი. ნიუ-იორკში მორგანის ბანკში აფეთქდა ყუმბარა. გამოირკვა, რომ აფეთქება მოწყობილ იყო ანარქისტების მიერ. მრავალ საფოსტო ყუთებში ნახეს წერილები, რითაც მოითხოვდენ პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან, რომ მოკლავენ ყველა ფინანსიურ მოღვაწეებს. აფეთქების მომწყობთა აღმოჩენისათვის დანიშნულია ჯილდოთ 250 ათასი დოლარი.

### სათეატრო ტარიფი.

**მოსკოვი,** 4 ოქტომბერი. მოსკოვის ყველა თეატრებისათვის დადგენილია ასეთი ტარიფი: ყველა თეატრების ყველა ადგილები დაყოფილია სამ კათეგორიათ. 1-ლი—50 მან; 2—170 მან. 3—100 მანეთი. განუსაზღვრელი ნიხრი ბილეთებზე აღკვეთილია.

### ცალი გაზეთის ფასი 600 მანეთი.

**ბათომი,** 6 ოქტ. აქ მოსულ ყირიმის უკანასკნელ გაზეთებზე აღნიშნულია ცალი გაზეთის ფასი 600 მანეთი.

### მობილიზაცია.

**კონსტანტინოპოლი,** 30 სექტემბერი. ანატოლიიდან მოსულ უკანასკნელ ცნობების მიხედვით მუსთაფა ქემალს მოუხდენია ახალი მობილიზაცია. აფიონკარა-გისარის დასაცველათ მილისტების ბულადს დიდი ძალებისთვის მოუყრია თავი უშაკის აღმოსავლეთით.

### ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავზე.

**მოსკოვი,** 9 ოქტ. გაზ. „კომუნისტური შრომა“ სწერს: „სამი წლის რევოლიუციის განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკამ სამეურნეო ცხოვრებაში ბევრი გაუმჯობესებები შეიტანა. ამ წელს ორი თვის განმავლობაში იმდენი სურსათია მოგროვებული, რამდენიც 1918 წელს მთელი წლის განმავლობაში მოგროვდა. სათფობი და ნედლი მასალები ამ წელს გაცილებით მეტია, ვიდრე ეს გასულ წელს იყო. მოწინავე მუშების და კომუნისტების ენერგიული მუშაობის გამო შრომის ნაყოფიერება გაძლიერებულია.

### „საბედისწერო დღეები“

**მოსკოვი,** 10 ოქტომბერი. (რადიო) მოწინავე სტატიაში—„საბედისწერო დღეები“ გაზ. „პრავდა“ იხილავს პოლონეთთან ზავზე ხელის მოწერის გაგრძელების მიზეზებს და შემდეგს სწერს: „ადვილი მისახვედრია, რომ ზავზე ხელის მოუწერლობის მიზეზი—საფრანგეთია, რომელიც სძარცვავს პოლონეთს და იმავე დროს იხდის მას თავის მოსამსახურეთ მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში. საფრანგეთის პოლიტიკა—აი უმთავრესი მიზეზი ზავზე ხელის მოუწერლობის. მაგრამ ეხლა ძლიერ ცუდია პოლონეთის შინაური მდგომარეობა.

ვარშავის გაზეთები გვიხატავენ საშინელ შინაურ ცხოვრების რღვევის პირობებს. პოლონელ პანების მთავრობა მარცხნივ და მარჯვნივ არბევს მუშათა ორგანიზაციებს.

გლეხთა პარტიებსაც ამასვე უშვრებიან. მუშების ფართო მასსები ხედავენ იმას, რომ გამარჯვების გრგვინვას თან ახლავს მუშათა ორგანიზაციების განადგურება. ბურჟუაზიულ პოლონეთის შინაურ ინტერესებს მაინც უნდა აეძულებია ის (პოლონეთი) ზავი ჩამოეგდო ასეთ პირობებში. მაგრამ საფრანგეთის კაპიტალი, რომლის სურვილია პოლონელ დაქირავებულების ხელით შეაგროვოს რუსეთში მეფის ვალები, იძულებულს ხდის თეთრ—პოლონელებს გააჭიანურონ ზავზე ხელის მოწერის ვადა. ამ პირობებში ძნელი გამოსაცნობია, თუ რას იზამენ პოლონელები, ჩვენთვის ტაქტიკა ნათელია: ჩვენ ვაწარმოებთ ზავის პოლიტიკას, მაგრამ ჩვენ საკმაო ძალა უნდა გვეყოლოს, რომ მოვიგერიოთ მოწინააღმდეგის იერიშები“.

### „რევოლიუციონურ - კომუნიზმის“ პარტიის ყრილობა.

**მოსკოვი,** 1 ოქტომბერი. 21 სექტემბერს შესდგა „რევოლიუციონური-კომუნიზმის“ პარტიის ყრილობა, რომელზედაც დაესწრო 40-ზე მეტი დელეგატი. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 35 რუსეთის ორგანიზაცია, მათ რიცხვში ხარკოვი, ომსკი და ბაქო. ამორჩეულ პოლიტიკურ ბიუროს ყრილობამ დაავალა, რომ ერთი თვის ვადაში სისრულეში მოიყვანოს ყრილობის მიერ გარდაწყვეტილი—რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან შეერთება.

### ტროცკის წერილი.

**მოსკოვი,** 11 ოქტომბერი. „სამხრეთის ფრონტის წითელ არმიელის მაიატნიკში“ ამხ. ტროცკი ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაზე და ვრანგელის ფრონტის მნიშვნელობაზე სწერს:

„ჩვენ გულწრფელად და სინდისიერათ გვინდა ზავი, ვინაიდან ზამთრის კამპანიას ამ გზით აუვლით გვერდს და რუსეთის, უკრაინის და პოლონეთის მშრომელ მასების ტანჯვას ამით შევამცირებთ.

ამ ვეებერთელა მანძილზე თითქმის ბალტიის ზღვიდან შავი ზღვამდის—ჩვენ არ გვექნებოდა ეს მკაცრი ბრძოლები, თუ რომ ბარონ ვრანგელს არ შეეკრა კავშირი თეთრ პოლონეთთან. როდესაც ისინი რუსეთის, უკრაინის და ლიტვის მუშებს და გლეხებს თავს ესხმოდენ, ბარონ ვრანგელი ჩვენს წინააღმდეგ პოლონეთის შემოტევას მთელი თავისი ძალღონით ეხმარებოდა. მათი მიზანი ერთია.

მემამულეების მიწების უკან დაბრუნება და კაპიტალის ბატონობის აღდგენა. საფრანგეთის კაპიტალისტებიც ამ მიზნის განსახორციელებლათ მოქმედობენ. ისინი ცდილობენ, რომ რუსეთის ხალხმა მდიდრების სასარგებლოთ იმუშაოს.

ჩვენი წითელი არმია მოიპოვებდა სრულ გამარჯვებას პოლონეთის შლიახტებზე და გაანთავისუფლებდა ჩაგვრისგან პოლონეთის ხალხს, თუ რომ ჩვენ ზურგს უკან ვრანგელი არ გვყოლოდა, რომელიც იძულებულს გვხდიდა პოლონეთის ფრონტიდან გადაგვეყვანა ბლომათ სამხედრო ძალები. ბარონ ვრანგელი მიილტვის აღმოსავლეთისაკენ, რათა დონის ოლქი დაიპყროს და მით საბჭოთა რუსეთს დონი, ყუბანი და ჩრდილო კავკასია მოწყვიტოს. ამ მიზნისთვის რომ მას მიეღწია, მაშინ ჩვენ ყუბანის პურს, ბაქოს ნავთს და დონის ნახშირს დავკარგავდით. შეჩერდებოდენ ფაბრიკა-ქარხნები, რკინის გზები, ქალაქებში შიმშილობა გაძლიერდებოდა.

რუსეთი და უკრაინის ყოფილი მემამულეები, კაპიტალისტები, გენერლები სასოებით შეჰყურებენ ვრანგელს. რეაქციის ეს უკანასკნელი ნაფლეთი რომ არ არსებობდეს, მაშინ ამერიკის და დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული მთავრობები დიდი ხნით ადრე ჩამოაგდებდენ ჩვენთან ზავს და აღადგენდენ სავაჭრო ურთიერთობას. ჩვენ მივიღებდით საზღვარ გარეთიდან სამეურნეო იარაღებს, საექიმო წამლებს, ორთქლმავლებს და სხვა ჩვენთვის საჭირო საგნებს.

მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას მშვიდობიანობა უნდა. ამას რომ მიაღწიოს, ამისთვის უნდა გაისრისოს ვრანგელის თეთრი ლაშქარი“.

გადადის რა საერთაშორისო მდგომარეობის განხილვაზე, ტროცკი აღნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკის სიმტკიცეს და ურყეობას. იგი მიუთითებს იმაზე, რომ ყველა ბურჟუაზიული მთავრობები, რომლებიც მწვავე ბრძოლას აწარმოებდენ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, უკვე დაეცნენ.

„განიავეაულია გერმანიის თვითმპყრობელობა, რომელიც ბრესტის ზავით ლამობდა საბჭოთა რესპუბლიკის დახშობას. დაეცა საფრანგეთში კლემანსოს მთავრობა, რომელმაც აღთქმა დასდო დაამარცხოს ბოლშევიკები. შეერთებულ შტატებში საბჭოთა რესპუბლიკის წყეული მტრის—პრეზიდენტი ვილსონის ყოფილ ძლიერებისაგან საბრალო ნაშთები-ღა დარჩენ“.

აქედან ტროცკი ასკვნის, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნების მმართველი წრეები თვით გრძნობენ თავისი თავის სისუსტეს, განწირულებას.

ამით აიხსნება ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობების განზრახვა, რათა განაგრძონ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლა.

„ბურჟუაზიული მარადისობა ყოფილ ეპოქის მოგონებათ იქცა. იგი რეჟიმი განწირულია და მისი აღსასრულის ჟამი თვალწინ გვიახლოვდება. ჩვენ კომუნიზმის საერთაშორისო კავშირი, მოწოდებული ვართ კაპიტალისტური წყობილების მესაფლავეებათ.“

### მესამე ინტერნაციონალში.

**მოსკოვი,** 11 ოქტომბერი. ჩეხო სლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა მესამე ინტერნაციონალში შესვლა და მოსკოვში დელეგატის გზავნა.

### იმპერიალისტების პერსპექტივები.

**პარიჟი,** 29 სექტ. ბრიუსელიდან იტყობინებიან, რომ გენერალ ესტეენმა გაზ. „სუარის“ კორესპოდენტს საუბრის დროს უთხრა: ეხლანდელი ომის საშუალებები მხოლოდ ბავშვის თამაშია, ახლო მომავალში ტანკები გადიქცევიან ყოველ არმიის ავანგარდათ. ჩვენ გვექნება არა მარტო ჩქარი მავალი და მჩატე მანქანები, არამედ ჩვენ გვექნება ტანკები, რომელიც ყოველივეს გაანადგურებს. არავითარი თავდაცვითი საშუალებას არ შეეძლება ტანკების გაწევა. ამ პირობებში ცხენოსანი ჯარი ზედმეტი იქნება“. გენერალი ესტეენი ომის დროს საფრანგეთის ტანკებს სარდლობდა.

### რისთვის დამარცხდა ინგლისი რუსეთზე გამოლაშქრების დროს?

**მოსკოვი,** 6 ოქტ. ლონდონში გამოქვეყნდა მარშალ ვილსონის ოფიციალური ანგარიშები ინგლისელების მიერ ჩრდილოეთ რუსეთში გაგზავნილი სამხედრო ექსპედიციისა. მარშალი აღნიშნავს, რომ ექსპედიციის მიზანი იყო პირველად გერმანელების წინააღმდეგ გალაშქრება, რომლებმაც ფინლანდია დაიკავეს, მაგრამ გერმანიის მილიტარიზმის დამარცხების შემდეგ (ნოემბერი 1918 წ.). ამ ექსპედიციამ ახალი მიზნები დაისახა. მისი მიზანი იყო დახმარებოდა რუსეთის კონტრ - რევოლიუციონერებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და მათზე გამარჯვებაში. ეს მიზანი (რუსეთის კონტ-რევოლიუციონერების გამარჯვება ინგლისელების დახმარებით) ვერ იქნა განხორციელებული. ამას ხელი შეუშალა ინგლისის მუშათა პარტიის აგიტაციამ „რუსეთის საწინააღმდეგო ავანტიურისათვის“.

ეს აგიტაცია გაძლიერებული იყო მფრინავთა კორპუსში და ფლოტში და ეს ძლიერ უშლიდა ხელს მიზანის შესრულებას. კომპანიის გეგმების ასრულება შეუძლებელი შეიქნა, რადგან აგიტაციის საშუალებით სრულიად შესწყდა მოხალისეების მოსვლა. ინგლისის დამარცხების მიზეზს ფელდმარშალი ხედავს ინგლისის დასუსტებაში, რომელიც ძლიერ დაღალული იყო და ამიტომ ის ეხლა უძლურია ახალი კამპანია დაიწყოს უფრო ფართე მაშტაბით.

### აგრონომიული მატარებელი

**მოსკოვი,** 4 ოქტ. ახლო დროში გამოშვებული იქნება პირველი სანიმუშო აგრონომიული მატარებელი, რომელსაც აწყობს მიწათ მოქმედების კომისარიატი.

მატარებლით ივლიან ინსტრუქტორები, სასოფლო მეურნეობის კარგათ მცოდნე სპეციალისტები. მატარებელზე მოეწყობა ინსტრუქტორების მიერ ლექციების კითხვა სასოფლო მეურნეობაზე.

## უკანასკნელი ცნობები

### სამხ. ოპერატ. 11 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსოვეტის“ საველე შტაბისა.

**მოსკოვი,** 12 ოქტომბერი.

### პოლონეთის ფრონტი

მოლოდეჩნენსკის რაიონში ჩვენ სმორგონის ჩრდილოეთით და სამხრეთით 20 ვერსზე სოფლები დავიპყრეთ.

მინსკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დ. კეიდანი და ამ დაბის ჩრდილოეთით და სამხრეთით 30 ვერსზე სოფლების რიგი დაიკავეს. მტრის იერიშები შარაგზის გასწრივ სლუცკის დასავლეთი 10 ვერსზე ჩვენ მოვიგერიეთ. სამხრეთით ჩვენ რამოდენიმე პუნქტი დავიპყრეთ 10—20 ვერსზე სლუცკის დასავლეთით.

ლუნიცკის რაიონში უმნიშვნელო შეტაკებებია.

სარნის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგე ოლევსკისაკენ გარეკა.

ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონში ნოვოგრად-ვოლინის ჩრდილოეთით 30—15 ვერსზე ჩვენმა ნაწილებმა რამოდენიმე პუნქტები დაიკავეს.

ბერისლავის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოულოდნელი თავდასხმით ხელმეორეთ წამოიყვანეს ტყვეთ 120 აფიცერი, 340 ჯარისკაცი, 2 ტყვის მფრქვეველი და მრავალი დავლა იგდეს ხელთ.

გულიაი-პოლე-ბერდიანსკის რაიონში ჩვენი შეტევა წარმატებით ვითარდება. ჩვენ დავიპყრეთ გულიაი-პოლე.

### ყოველივე ფრონტისთვის.

**მოსკოვი,** 12 ოქტომბერი. „პრავდა“ სწერს; „წითელ არმიელებო! ვრანგელი მოსპობილი კიდევ არ არის. საბჭოთა რუსეთი თქვენით მოელის ბარონ ვრანგელზე გამარჯვებას. ანტანტამ, განსაკუთრებით საფრანგეთმა გაუწია ვრანგელს დახმარება. ჩვენი—წარმომადგენელი—კამენევი, რომელიც ინგლისთან სამშვიდობო-მოლაპარაკებას აწარმოებდა—ინგლისიდან გამოასახლეს. საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები აშკარათ აღიარებს, რომ საფრანგეთი რუსეთზე თავდასასხმელათ ემზადება, და თუ ახლა პოლონეთი თითქო თანხმდება ზავზე, ეს მისი შინაური არევ-დარევით და მშრომელ მასების უკმაყოფილებით აიხსნება.

მსოფლიო ბურჟუაზიას უკანასკნელ ბურჯ იმედათ ვრანგელი დარჩენია. იგი რაც შეიძლება მალე უნდა გავაქროთ. ჩვენ მიერ უკვე განადგურებულია მისი მოწინავე ნაწილები.

ფრონტისკენ დაუყონებლივ! ვრანგელი ზამთრამდის უნდა დავამარცხოთ.

### ვრანგელის ფრონტზე კამენევის გამგზავრება.

**მოსკოვი,** 11 ოქტ. მოსკოვიდან ვრანგელის ფრონტზე გაიგზავნა ამხ. კამენევის მატარებელი. მატარებლით წაიღეს სხვა და სხვა საჩუქრები მოსკოვის პროლეტარიატისაგან წითელ არმიელებისათვის.

ამის გარდა გაიგზავნა სამი დიდი ვაგონით საჩუქრები, რაც შეგროვილ იქნა მოსკოვში ორი დღის განმავლობაში. კამენევმა მიმართა მხლებელ წითელ არმიელებს მხურვალე სიტყვით, რითაც აღნიშნა, რომ ყველა ფრონტზე მიმავალები და ისინი ვინც ზურგში რჩებიან დარწმუნებული არიან რომ გაიმარჯვებენ. ახლო დროში ჩვენ აღვმართავთ წითელ დროშას ვრანგელის სატახტო ქალაქ-სევასტოპოლშიო სთქვა ამხ. კამენევმა.

### პოლონეთი არ სცნობს ზავს

**ნაუენი,** 10 ოქტ. მიუხედავათ იმისა. რომ პოლონეთ-ლიტვას შორის ზავი ჩამოვარდა—პოლონელების შეტევა ლიტვის პოზიციებზე მაინც გრძელდება. კოვნოდან მოსულ ცნობების თანახმათ ლიტვის ყველა ქალაქებში შესდგა კომიტეტები, რომელთა დანიშნულებაა პოლონეთის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება.

## ახალი ამბები

**კომუნისტების „ლეგალიზაცია“.** ქუთაისის ციხეში მყოფ კომუნისტებისათვის შინ. საქ. სამინისტროს გადაუწყვეტია თითო წლით დაპატიმრება ადმინისტრატიული წესით. აი ძალმომრეობის და ხალასი შურისძიების მსხვერპლთა სია: 1) ოკუჯავა მიხ , 2) ჟღენტი თენგიზ, 3) ბედია მაკარი, 4) კალანდაძე თედ., 5) კალანდაძე ვარდენ, 6) დოლაქიშვილი აკ., 7) ჩიჩელაშვილი ალ., 8) მგალობლიშვილი გრ., 9) მაღრაძე გრ., 10) ოჩიგავა ძუკუ, 11) ფოცხიშვილი დავ., 12) ლიპარტია ნოე. დანარჩენ 17 ამხანაგის ბედი ჯერ კიდევ გამოურკვეველია — გადაასახლებენ თუ ერთი წლით დაპატიმრებით გააბედნიერებენ. ადმინისტრატიული წესით ციხეში დატოვება გამოუცხადებიათ ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებისთვის თბილისის ციხეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო მეურნეობა საბჭოთა რუსეთში

**სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადება.**

ვიტებსკი. გუთნის ქარხანაში პირველიდან 15 ივლისამდე დამზადებულია 150 გუთანი და 1.500 ნამგალი; შრომის ნაყოფიერობა ძალიან დიდია.

(როსტა)

**ლითონის დასამუშავებელი ქარხნები სამხრეთ ურალში.**

სრულიად რუსეთის ლითონზე მომუშავეთა კავშირის ც. კ. ცნობით ლითონის დასამუშავებელ ქარხნების მდგომარეობა სამხრეთ ურალში უკანასკნელ ხანებში გაუმჯობესდა. ყველა დაზგები, რომლებიც წაღებული იყო თეთრ გვარდიელების მიერ კოლჩაკის უკან დახევის დროს, ხელახლა იქნა დაბრუნებული ქარხნებში და თავის ადგილებზე დადგმული. მუშებიც და ტეხნიკური პერსონალიც აგრეთვე დაბრუნებული არიან.

ნაყოფიერობა ქარხნებში თანდათან მატულობს, მუშებისთვის სურსათის მოწოდება დამაკმაყოფილებელია. მუშები იღებენ 2 ფუთს და 12 გირვანქა პურის ქფილს, ყავეს, მარილს, თუთუნს და სხვა სურსათს.

**ასანთის ფაბრიკების მუშაობა.**

1920 წ. პირველ ივლისამდე 48 ასანთი ფაბრიკა: ჩრდილოეთის რაიონში (ნოვგოროდის, ოლონეცის, პეტერბურგის და ჩერპოვეცის გუბერნიებში)—7 ფაბრიკა; ურალის რაიონში (ეკატერინბურგის, ტერმის, ტოლის და ტომსკის გუბერნიებში)—4 ფაბრიკა; პოლესიის რაიონში (გომელის და მინსკის გუბერნიებში)—8 ფაბრიკა; ცენტრალურ რაიონში (ვლადიმირის, კალუგის, მოსკოვის, ორლოვის, რიაზანის, სმოლენსკის, ტვერის და იაროსლავის გუბერნიებში)—10 ფაბრიკა და ვოლგის რაიონში (კაზანის, პენზის, სამარის, სარატოვის და ტამბოვის გუბერნიებში)—12 ფაბრიკა. ივნისის განმავლობაში შესწყვიტა მუშაობა რემონტის გამო 4 ფაბრიკამ. იმავე თვის განმავლობაში მუშაობა დაიწყო 2 ფაბრიკამ პოლესიის რაიონში: გრებეჩკამ და ყოფილ სატდაროვის კაზანის გუბერნიაში. ამა წლის ივნისში ფაბრიკებმა გამოუშვეს 97.449 ყუთი ასანთი და პირველ ივლისს დარჩა დამზადებული 94.536 ყუთი. ნედლი მასალა ივლისში ასანთის ფაბრიკებში იყო საკმარისი შეუწყვეტელ წარმოებისთვის.

# მუშათა წერილები

პასუხი მეხამე

იწერები; ვერ გამიგია, პროგრამაში გვიწერია ერთა თვითგამორკვევა: ყოველ ხალხს ნება აქვს თავისი ცხოვრების პირობები ისე მოაწყოს, როგორც მას სურს და მეც დარწმუნებული ვარ ეს ასე არის, მაგრამ მიკვირს, ეს მენშევიკების გაზეთები და მათი ამყოლი ფედერალისტების პრესა—მუდამ ყოველ ნომერში იმას გაკივიან, თითქოს ბოლშევიკები ერებს სპობდენ, მათ წმიდათა წმიდას; ენას, ზნე-ჩვეულებას აქარწყლებდენ და სხვა ასეთები, ნუთუ მართალია მათ (ბოლშევიკების) სიტყვასა და საქმეს შორის ესეთი განსხვავებაა?..

—სწორია, მენშევიკური და მათი ამყოლი—ნაციონალ-ფედერალისტური გაზეთები—ყოველ ფეხის გადადგმაზე იძახიან—ბოლშევიკები ერებს სპობენ—მათ ენას ართმევენ და ანადგურებენო, ისინი—ყოველ გზა ჯვარედინზე „აჯერებენ“ თავიანთ—გულუბრყვილო მკითხველებს ბოლშევიკების გაუტანლობაზე—მათ სიმხეცეზე—და მოუწოდებენ, ებრძოლონ მათ ყოველ საშუალებით, ებრძოლონ მათ ათასნაირი დემაგოგიით—პროვოკაციით და სხვა ხრიკებით, მაგრამ, გარწმუნებ—ჩემო მეგობარო, რომ ერი, ერის თვითგამორკვევა მათ ისე არ აინტერესებთ, როგორც მე—ბურჟუაზიის სამსახური—ერისთვის. გამორკვევა მათ დააწერეს თავიანთ შავ-წითელ დროშაზე იმიტომ, რომ ამ ტერიტორიაზე უფრო კარგათ, უფრო ხელოვნურათ, შეუცილებლათ ყვლიფონ დაჩაგრული ხალხი, უფრო კარგათ აძრონ ტყავი მშრომელებს. მათ წამოსკუპდენ კარგ პოსტებზე და ეს ლეგიონი ლატაკთა სურთ ისევ მათ მონებათ იყოლიონ, აი სწორეთ, ამისთვის უნდათ მათ ფრაზა, „ერის თვით გამორკვევა“.

—ბოლშევიკების მიერ ერის თვით გამორკვევა კი სულ სხვა ფორმებში გამოიხატება—ისინი კი პირდაპირ—ასე აყენებენ საკითხს: მშრომელი ხალხის თვითგამორკვევა, იყოს ის გინდ რუსი, გინდა ქართველი და ჩინელი მშრომელი ხალხი—ყოველგან (გარდა რუსეთისა) დაჩაგრულია, ის საჭიროებს დიდ ბრძოლას—თავიანთ კაპიტალისტების მიმართ და სწორეთ—ბოლშევიკების თვით გამორკვევა ამას გულისხმობს—შეერთება ყველა ჩაგრულთა და ტვირთმძიმეთა თავიანთ იმპერიალისტების და გამყიდველ „სოციალისტების“ წინააღმდეგ, რომ შეერთებული ძალით დაამხონ მათი ბატონობა და დაამკვიდრონ ჭეშმარიტი ღარიბ-ლატაკ ხალხის ბრძანებლობა ე. ი. მათი თვითგამორკვევა... აი რას ნიშნავს მენშევიკური თვითგამორკვევა და ბოლშევიკური.

დაჩაგრული.

მელ მასსას, პროლეტარიატსო.

მაგრამ ცხოვრება მაინც თავისა იზამს და მშრომელი მასსა გამარჯვებას იდღესასწაულებს.

კონა.

# მუშათა ცხოვრება.

მუშა ქალი.

დაზგასთან ზის, ღამე არის  
და საკერავს უკირკიტებს,  
ეხ, ვინ იცის რაზე ფიქრობს,  
გულს სევდიანს რა უწყლულებს...  
და გასცქერის, ხშირათ თვალსა—  
მოაშორებს საკერავსა...  
გულში ზიზღს ზრდის როგორც მონა  
საყვედურობს ბედს მჩაგვრელსა;  
მაგრამ მისი სევდა-ფიქრი  
სახლის კედლებს არ სცილდება,  
და მომავლის სურათ-ხატი  
იქვე დაჭკრის, თავს ევლება,

ხამ. კულაშელი.

ხ მ ა!..

ხმა გუგუნებს მუშა ხალხის,  
წინ-წინ მიდის, ჯაჭვებს ამსხვრევს.  
დაფრიალებს მუშის დროშა,  
მტარვალებსა ლახვარსა სცემს.

ბრძოლა, ბრძოლა სიმართლისთვის,  
დე დაინთოს ბრძოლის ცეცხლი,  
იგუზგუზებს, შიგ ჩაიწვის  
დაჩაგრული ხალხის მტერი!

ერთად, ერთად, ერთად ძმებო!  
გადავლახოთ ბრძოლის ველი  
და იქ მედგრათ მივიტანოთ  
ალთქმის ქვეყნათ დროშა ჩვენი.

აჰა, ერთიც, და გაწყდება  
მძიმე უღლის გრძელი ჯაჭვი,  
შრომის ტახტი დაიდგმება,  
გათენდება დღე დიადი.

მიხაკო მეგრელიძე.

**მთავარ სახელოსნოების სასადილო**

სასადილო რკინის გზელებთათვის. შეუძლიან ყველა მუშა-მოსამსახურეებს იაფ-ფასიანი სადილი მიიღონ: 3 მისხალი ხორცი, 7 მისხალი კომბოსტო მჟავე, 3 სტოლის კოვზი ცივ ნარევი წყალი. მასთან საუცხოვო ღვინო ჩაი-ნარევი, არაყი წყალ-ნარევი. ძალიან საინტერესოა სად მიდის შეძენილი კარგი საქონელი? ყველა მუშებს კუჭი შიმშილისაგან გაუფუჭდათ, გულ-წასულნი დავდივართ ქუჩებში და ჩვენ ჭირ-ვარამს ერთი-მეორეს შევჩივით.

სწორეთ ამ დროს შემადგენლობა უმაღლეს ორგანოსი, ე. ი. ცენტრალური გამგეობის წევრები შესულან ამ იაფ-ფასიან სასადილოში, დაახლოებით 13-მდე კაცი და შეყოლიათ ნუნუას გვერდით ლამაზი „კასერშები“, თუ ვიღაც ქალები (მგონი ისინიც მოსამსახურეები) და არ ხეინათ ქეიფობენ, წვადები ნაირნაირი. ჩვენ კი ამავე დროს ლუკმა პურს ვენატრებით.

ისინი არიან ჩვენი დამცველნი? იმათ ახსოვთ თავიანთი მუშური ცხოვრება? არა, ძმებო და ამხანაგებო, ჩვენ დავიწყებული ვართ. ჩვენს თავს ჩვენ თუ მივხედავთ და მოუვლით, თორემ ვიქნებით ისევ ისეთ აუტანელ გაჭირვებულ მდგომარეობაში. ჩვენ მუდამ და ყოველგან უნდა გვახსოვდეს ჩვენი დიდებული ბელადის და მასწავლებელის კ. მარქსის სიტყვები: „მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა“. მაშ მივმართოთ ჩვენი მოქმედება აქეთკენ და არ უღალატოთ ამ დიად ანდერძს.

ნ. ც—ლი.

**ხაშურის რაიონის სახერხი ქარხანა**

„დემოკრატიულ“ საქართველოში საერთო და განსაკუთრებით გორის მაზრაში, ხაშურის რაიონში მენშევიკების წყალობით ხდება ის, რაც ხდებოდა ნიკოლოზ მეორის მეფობის დროს.

ავიღოთ მაგალითად ორთქლით მომუშავე სახერხი ქარხანა, სადაც მუშაობს ათი—თერთმეტი კაცი. მუშები მუშაობენ იქ 12 საათს და როდესაც ეკითხებიან თავიანთ უფროსს, ბ. ნორრას, თუ რატომ ამუშავებს ის მათ 12 საათს დღეში, პასუხათ უთითებს 1901 წელში ნიკოლოზ მეორის დროს დაწერილ კანონზე და ეუბნება: „თუ ამის შესრულება არ ისურვებთ, დასტოვეთ ქარხანა და გადით ქუჩებშიო.“ ამის გამო მუშები იძულებული ხდებიან შეურიგდენ თავიანთ აუტანელ მდგომარეობას და განაგრძონ მუშაობა დღეში სრული 12 საათი.

ხაშურელი.

# პროვინციის ცხოვრება.

**შუხუთის თემი.**

შუხუთელი მენშევიკები მუდამ ამაყობდენ იმით, რომ შუხუთში მთელი ხალხი მათ მიყვებოდა, რომ ამ „ოაზისში“ არ არის სხვა პარტიის ორგანიზაცია, რაიც შედეგია ჩვენი ენერგიული მუშაობისო, ამბობდენ ისინი და ერთდროს ლანჩხუთელ მენშევიკებსაც კი უსაყვედურებდენ, რატომ ჩვენებრ არ ეწევით პარტიულ მუშაობასო.

მართლაც იყო ის „ბედნიერი“ დრო, როდესაც შუხუთში არ იყო სხვა პარტიის ორგანიზაცია და მენშევიკებიც ძალით თუ ნებით იყოლიებდენ ხალხს. მაგრამ წავიდა ეს ბედნიერი დრო. საკმარისი იყო პატარა კომუნ. იაჩეიკის შექმნა შუხუთში და მშრომელი გლეხკაცობის სიმპატიაც ჩვენსკენ გადმოიხარა. პატარა იაჩეიკამ იწყო ზრდა. მენშევიკების ბანაკიდან ჩვენსკენ გადმოდიოდენ. ამან დააფრთხო მეშევიკები, რადგან მათ წარსულ სახელს და დიდებას ბოლო ეღებოდა. მათი „ძლიერი“ ორგანიზაცია, სამაგალითო მთელი რაიონისათვის, მხოლოდ მოსაგონარათ დარჩენილა. იმათ კრებებს გლეხები ან არ ეკარება ან და იშვიათად, რადგან მთლად რომ თავი მიანებონ პარტიას, მაშინ შალშევიკობას დასწამებენ და სოციალდემოკრატიულ ციხისკენ გაამგზავრებენ. ხშირათ კრებებზე კოლექტივის და პრეზიდიუმის წევრების მეტი არავინ ესწრება! ასე დაკნინდა და ჩამოქვეითდა „სამაგალითო“ ორგანიზაცია. ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. მუდმივმა დაპირებებმა, სიტყვების უთავ-ბოლოდ რახა-რუხმა, ლაყბობამ, სიტყვის აუსრულებლობამ, რაც საერთოდ დასჩემდა მენშევიკების პარტიას, გლეხებს გული აუცრუა პარტიაზე და უფრო შეგნებული ნაწილი მას ჩამოაშორა.

საჭირო იყო კომუნისტების ალაგმვა, რადგან ასეთი „უბედურება“ მათი ბრალი იყო. ის კი ვერ გაიგეს, რომ მათი რღვევის მიზეზი თვით მათში იყო. და აი აამუშავეს მთელი თავისი აპარატი. მთელი წლის განმავლობაში სდევნეს კომუნისტები, გამოამწყვდიეს ციხეებში, ავცელეს ჭორები, მაგრამ მათ გაჭირვებულ მდგომარეობას არაფერი ეშველა. შემდეგ დაუწყეს გლეხებს რწმუნება იმისი, რომ თითქოს კომუნისტები მათ კერძო საკუთრებას (წვრილს) ჩამოართმევენ, რომ თითქოს, თუ კომუნისტებმა გაიმარჯვეს, მაშინ ქართველები იძულებული იქნება იბრძოლოს სტამბოლის ასაღებათ ან და ინდოეთში ინგლისელების წინააღმდეგო. ამასაც არ დაჯერდენ და მოიწვიეს ცნობილი თავისი მატყუარობით გაბ. ხუნდაძე, რომელმაც არ დაზოგა არავითარი საშვალება, რომ საბჭოთა რუსეთი და კომუნისტები ხალხის თვალში გაეშავებია. მიუხედავათ ასეთი საზიზღარ ცილისწამებათა და სიცრუისა, რომელთაც მენშევიკებთან ერთად ავრცელებენ ჩვენი ე იმპერიალისტები და ევროპის ყვითელი სოციალისტები, ხალხი მაინც სიმპატიის თვალით უყურებს კომუნისტებს. რაც უნდა ეცადონ ბ.ნნი მენშევიკები, რაც არ უნდა გვდევნონ და გვითვალთვალონ, მაინც ვერ შესძლებენ კომუნისტების მოსპობას, რადგან ჩვენ გვეკუთნის მომავალი, როგორც მებრძოლი მშრომელი ხალხის პარტიას. თოფით და ზარბაზნებით ევროპის იმპერიალისტებმა ვერ მოსპეს კომუნისტები, პირიქით, უფრო გააძლიერეს. ასევე მენშევიკები მათი საქციელით, ჩვენი პარტიის დევნით, კიდევ უფრო გაგვაძლიერებენ ჩვენ. ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს მუშაობას, ჩვენ კვლავ მოუწოდებთ ხალხს, რომ ის საბოლოოდ ჩამოშორდეს მატყუარათა და კომისრების პარტიას, რომ დააჩქაროს კიდევ უფრო რღვევის პროცესი და დაირაზმოს მშრომელთა ინტერესებისათვის ერთად ერთ მებრძოლ კომუნისტურ პარტიაში.

შუხუთელი

# სოფელი და მისი მუშა

**I ეწერი (სენაკის მაზრა)**

ამ სოფელს აკრავს ეგრეთ წოდებული მე-2 ეწერი და წალიკარი. მცხოვრებთა რიცხვი იქნება დაახლოვებით არა ნაკლები 2050, მიუხედავათ მცხოვრებთა სიმრავლისა, ხსენებული სოფლები უპატრონოთაა დატოვებული. აქ არსებობს აბრაამის დროს დაარსებული ერთ კლასიანი სამრევლო შკოლა, რომელსაც რევოლიუციის შემდეგ ჰქვია დაბალ დაწყებითი შკოლა. ამ შკოლის შენობაში რომ შეიხედოთ მოგაგონდებათ ჯოჯოხეთის უფსკრული: იატაკი დამპალი, მიწტვრეულ-მონტვრეული, კედლებს წვიმის გამო ხავსი მოკიდებია და სდგას საძაგელი სუნი. მოწაფეთა პარტაზე ლაპარაკიც ზედმეტია. 5 წელიწადია, რაც შკოლის დარბაზს აწვიმს და რა სანახავი იქნება, მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს. აქ დანიშნულია ორი მასწავლებელი ქალი, რომლებსაც ევალებათ ორორი განყოფილებაში მეცადინეობა. კითხვა ისმება: მასწავლებელი მიაღწევს ასე მოკაზმულ შკოლაში მიზანს თუ არა? რასაკვირველია სრულებით ვერ მიაღწევს. მოწაფეები წერის დროს იატაკზე დაწოლილი წერენ, რადგანაც პარტები არ არის. ეს მენშევიკების უფასო და სავალდებულო ჰიგიენურად მოწყობილი შკოლა ახალ მოზარდ თაობას ასნეულებს და სცოცხლეს ასალმებს, ხალხს უფრო ზიანს აყენებს, ვიდრე სარგებლობას.

ხალხის უმეტესობა დღეს მთავრობის ყოველ გვარ უტაქტიკო და უენერგიო საქციელს თვალყურს ადევნებს, მაგრამ ის დღეს დუმილშია; მან მშვენივრათ იცის, თუ ვინ არის წამოტუზული მასზე. ხალხი არ მოელის ამათგან ხსნას, ხალხის თვალში სოციალ გამცემლებმა კარგა ხანია დაამტკიცეს თავიანთი ულოიალობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით უხეშ ძალმომრეობის ძალას ემორჩილება, თითქმის იტყვით ხალხს სძინავსო, მაგრამ მათი გულის სიღრმეში ცეცხლის ალი გრიალებს და ოდესმე თავისი მძლავრი ნაპერწკალს გადმოტყორცნის თავის დღევანდელი „მძლავრი მტერზე“.

სოფელ წალეკარი—სოფელ 1 და მე-2 ეწრიდან დაშორებულია 4 ვერსით; მცხოვრებთა რიცხვი იქნება 190, აქ არავითარი პროგრესიული დაწესებულება არ არსებობს. სკოლაში შეყავთ 14—15 ბავშვები, რადგანაც ნაკლები წლოვანების ვერ შეძლებს შკოლაში სიარულს. ასე რომ მოწაფე დაბალ დაწყებითი შკოლის სრული დარგს დაამთავრებს 19 წლის ასაკში შესვლის დროს. დღევანდელი მთავრობა არავითარი ზომებს არ ღებულობს, ის მშრომელ გლეხკაცობას სათამაშოთ აგდებს საქმეში და აგიტაციის დროს კრებებზე გაკივიან საერთოდ შემოღებულ რიფმებს, გაუმარჯოს მშრო-

# ყოფილ სამხედრო ტყვეს წერილი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მე გამოვექეცი დასავლეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკის ბრჭყალებს, სადაც გამომწყვდეული ვყავდი მათ, სხვა რუსებთან ერთად, რამდენიმე წლის განმავლობაში.

კონსტანტინოპოლში ქართველები ვნახე, რომლებმაც მითხრეს საქართველოს ამბები. მეუბნებოდენ, რომ ყველგან გაჰყავდათ ახალი გზები, ხიდები; სოფლად გახსნილია სასწავლებლები; გახსნილია საავადმყოფოები და კიდევ სხვა. სიტყვით ამბობდენ, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობდა და ფიქრობდა მუშა-ხალხის და ქვეყნის კეთილდღეობაზე. რასაკვირველია, დიდათ გამეხარდებოდა ეს, როგორც ყველა ერის სიბედნიერე. მაგრამ როდესაც აქ ჩამოვედი, ვხედავ სულ წინააღმდეგს.

სოფლად, სადაც იყო გზები და ხიდები, თუ გაფუჭებულა, თორემ აღარავის გაუკეთებია, რადგანაც სოფლელებს, მუდმივათ საქმეში გაბმულებს, არა აქვთ დრო მის გასაკეთებლად.

სასწავლებელში კი დადიან თითო ოროლა ბავშვები, ისიც შეძლებულ გლეხებისა.

თუ ავად გახდა, ექიმი კი გასინჯავს უგულოთ, მაგრამ წამლები შენ უნდა იყიდოო. ვინ დაიძებს თუ შეგიძლიან, მე თვითონ სოფელში ვარ და, აი სოფლად რას ვხედავ. ხალხი ყველა ტიტველია და ძლივს მოუხერხებიათ ტანის ძონძებში გახვევა. ბედნიერი იქნება ის, ვისაც გამოსაცვლელი პერანგი ექნება. იტანჯებიან ნამდვილათ ბავშვები. ხედავთ, რომ უჩანთ ტანის ტიტველი ნაწილები დაგლეჯილ ტანისამოსში. ზოგზოგი სულ ტიტველია, ტანის დასაფარავად ჯვალის ტომარა გადაუცვამთ ტანზე, რომელიც წარმოადგენს მთელ მისს სამოსელს, მნახველს გიკვდება გული და ფიქრობ: როგორ უნდა გაატაროს ამ უბედურებაში ხალხმა ზამთარი. ასეთი ცრუ ხმები ვრცელდება უცხოეთში, ნამდვილად კი ვხედავთ გაუბედურებულ ხალხს და მენშევიკები უყურებენ ამას და ტვირთის შემსუბუქების მაგიერ, პირიქით, ათასგვარ გადასახადებს აწერენ გლეხებს და მით გალატაკებული ხალხი უფრო ლატაკდება. მით უკეთესი—გაჭირვებული ხალხი უფრო ჩქარა შეიგნებს და მოიშორებს წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგებს.

ტანჯული.

დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.

# განცხადებანი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 9—81.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

[illegible] ქ. № 3,